



## საქართველოს კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობისათვის შეხვედრის ოქმი

2014 წლის 30 სექტემბერს სასტუმრო “ბომონდ გარდენში”, გაიმართა კოალიციის შეხვედრა. შეხვედრის მთავარი მიზანი იყო, კოალიციის რიგით მესამე არჩევნების ჩატარება და ახალი წევრების მიღება.

შეხვედრაზე ასევე მოხდა ბოლო ერთი წლის განმავლობაში კოალიციის მიერ განხორციელებული აქტივობების შეჯამება. მოხდა კოალიციის ვებ გვერდის [www.gccy.ge](http://www.gccy.ge) -ს პრეზენტაცია, რომელზეც ჯერ კიდევ კონსტრუირების პროცესშია, უახლოეს მომავალში, ვებ გვერდზე განთავსდება კოალიციის შესახებ სრული ინფორმაცია და გაეშვება ინგლისური ვერსია.

შეხვედრაზე თემატური მიმართულებების წარმომადგენლებმა მოკლედ შეაჯამეს ჯგუფების მიღწევები, ადვოკატირების პრიორიტეტული საკითხები და გამოწვევები.

კოალიციის არჩევნებს ესწრებოდა კოალიციის 40 წევრიდან შემდეგი 24 წევრი:

1. ადამიანი გაჭირვებაში - People in Need
2. ანიკა
3. არაძალადობრივი კომუნიკაციის ინსტიტუტი
4. გადავარჩინოთ ბავშვები საქართველოს ოფისი / Save the Children International Georgia
5. გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - GIP
6. ევრიჩაილდი - Everychild
7. ვორლდვიჟენ საქართველო - World Vision
8. თანადგომა
9. ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის
10. მაკლემინის ასოციაცია ბავშვებისათვის
11. მცირე საოჯახო სახლების ასოციაცია
12. პირველი ნაბიჯი საქართველო
13. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი
14. საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისათვის
15. საზოგადოება „ბილიკი“
16. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

17. საქართველოს ბავშვები
18. საქართველოს კარიტასი
19. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია
20. საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი
21. სტუდია "ეი დი სი"
22. ქალთა საინფორმაციო ცენტრი
23. ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი
24. წამების მსხვერპლთა ფსიქო სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი

არჩევნებზე მოხდა აღმასრულებელი საბჭოს, კოალიციის თავმჯდომარისა და აღმასრულებელი მდივნის, ასევე თემატური მიმართულებების კოორდინატორი ორგანიზაციების არჩევა, 1 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგად, კოალიციის საბჭოს წევრად, არჩეულ იქნა შემდეგი 7 ორგანიზაცია:

1. გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში
2. ვოლდვიჟენ საქართველო
3. პირველი ნაბიჯი საქართველო
4. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი
5. საქართველოს ბავშვები
6. საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი
7. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია

საბჭოს არჩევნების ხმების დათვლა განახორციელეს:

ნათია ზაბახიძემ,  
ანდრო გიგაურმა,  
ნოდარ თოფურიძე  
ნათია კიკვაძე

ხმების დათვლის ოქმი იხ. დანართში

საბჭოს წევრების მიერ, კოალიციის თავმჯდომარედ დასახელდა "საქართველოს ბავშვების" წარმომადგენელი - **ჯაბა ნაჭყებია** (5 ხმით 7-იდან), ხოლო აღმასრულებელ მდივნად, "World Vision"-ის წარმომადგენელი - **მაია მგელიაშვილი** (5 ხმით 7-იდან).

თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით, „არამალადობრივი კომუნიკაციის ინსტიტუტის“ წარმომადგენლის, **ანდრო გიგაურის** სამომავლო რეკომენდაცია იყო, რომ საბჭოს წევრების არჩევის შემდეგ, კარგი იქნება, თუ თითოეული წევრი წარმოადგენს კოალიციის მართვის ხედვასა და გეგმებს და ამის შემდეგ მოხდება თავმჯდომარის არჩევა.

თემატური მიმართულებების კოორდინატორებად დასახელდნენ შემდეგი ორგანიზაციები:

1. **პრევენცია და ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებები - ორი ქვე ჯგუფი**

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, პირველი ნაბიჯი საქართველო

გამოითქვა მოსაზრება, პირველი ჯგუფის ფარგლებში მესამე ქვე-ჯგუფის შექმნის თაობაზე, იმ მიზნით, რომ ქვე-ჯგუფმა უფრო ფოკუსირებულად იმუშაოს დეინსტიტუციონალიზაციის საკითხზე, კერძოდ კი თბილისის ჩვილ, სენაკისა და კოჯრის ბავშვთა სახლების დახურვის ადვოკატირებაზე. ამ ქვე-ჯგუფის კოორდინატორად დასახელდა ორგანიზაცია „საქართველოს ბავშვები“, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება მესამე ქვე-ჯგუფის შექმნის შესახებ არ იქნა მიღებული და დაიგეგმა, რომ ეს საკითხი პირველი ჯგუფის შეხვედრაზე განიხილება, რის შემდეგაც იქნება მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება.

## **2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები**

ინიციატივა მოწვევლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის

## **3. ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვა ძალადობისა და უგულბელოებისაგან**

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი

## **4. ზრუნვის სისტემიდან გასვლის საკითხები**

საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი

შეხვედრაზე ასევე მოხდა, კოალიციაში შემდეგი ახალი ორგანიზაციების გაწევრიანება:

1. ასოციაცია "ბავშვი და ოჯახი"
2. არასამეწარმეო იურიდიული პირი "ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი"
3. სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაცია
4. პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის
5. ცხოვრების შანსი
6. კავშირი „საფარი“
7. შშმ პირთა კავშირი "შშმბლების თანადგომა"
8. ასოციაცია "დეა" - ზუგდიდი
9. ძალადობისგან დაცვის ეროვნული კომიტეტი - მცხეთა
10. "ორიონი" - ზესტაფონი
11. ასოციაცია ინვალიდთა კლუბი - გორი

აღსანიშნავია, რომ კოალიციაში გაწევრიანდნენ ორგანიზაციები რეგიონებიდანაც. ჯაბა ნაჭყელების მიერ გამოითქვა მოსაზრება, ვებ გვერდის დახვეწასთან დაკავშირებით, რათა უფრო ეფექტურად მოხდეს კოალიციის წევრების საქმიანობის, გამოცდილებისა და სხვა რესურსების გაზიარება. ამ საკითხთან დაკავშირებით იგეგმება შემდგომი კომუნიკაცია.

ანდრო გიგაურის მიერ, შემოთავაზებული იქნა სახელმწიფოს მიერ გრანტების გაცემის ლობირების აუცილებლობა. ამ მიზნით ორგანიზაცია „არაძალადობრივი კომუნიკაციის ინსტიტუტმაი“ გადმოაგზავნა თავის შესრულებული დოკუმენტი რომლის გამოყენებაც შეეძლება კოალიციის ყველა წევრს აღნიშნული თემის ლობირებისათვის.

ტატო ქელბაქიანის მიერ გამოითქვა კოალიციის წესდების დახვეწის აუცილებლობა. ამასთან დაკავშირებით, კოალიციის საბჭო და აღმასრულებელი მდივანი დაგეგმავენ სამუშაო ჯგუფს.

ნათია ფარცხალაძის მიერ, გაჟღერებული იქნა პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტთან კოალიციის მიერ რამდენიმე საკითხის ადვოკატირების შესახებ (მინდობით აღზრდის მხარდაჭერა; ზრუნვიდან გასვლის კონცეფცია და ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა). ასევე, შემოთავაზებული იქნა დამატებითი საკითხების გამოკვეთა კომიტეტთან შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ადვოკატირებისათვის. ასევე კოალიციის წევრებს ეცნობათ საერთაშორისო ქსელის შესახებ რომელიც პროფესიონალების რესურსებს აერთიანებს:

<http://www.socialserviceworkforce.org/>

კავშირი „ორიონის“ წარმომადგენელმა, ჟანა ფერაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ მნიშვნელოვანია რეგიონებში ადვოკატირების გააქტიურება და მეტი რეგიონული ორგანიზაციის ჩართვა კოალიციაში მათი გაძლიერებისათვის.